სს „ეგრისის განვითარების კომპანია“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ეგრისის განვითარების კომპანია და მისი საქმიანობა 8
2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 9
3 გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 18
4 ძირითადი საშუალებები 20
5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 20
6 გადახდილი ავანსები 20
7 დებიტორული დავალიანება 20
8 კაპიტალი 20
9 კრედიტორული დავალიანება 21
10 შემოსავლები 21
11 პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები 21
12 სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი 21
13 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 22
14 სხვა საოპერაციო ხარჯები 22
15 ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები 22
16 პირობითი ვალდებულებები 22
17 ფინანსური რისკის მართვა 23
18 სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები 25
19 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები 26

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	34	22
სულ გრძელვადიანი აქტივები		**34**	**22**
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები		39	56
გადახდილი ავანსები	6	21	2
დებიტორული დავალიანება	7	159	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	145	198
სულ მოკლევადიანი აქტივები		**364**	**257**
სულ აქტივები		**398**	**279**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	(11)	(11)
პრივილეგირებული აქციები	8	(27)	(27)
გაუნაწილებელი მოგება		(307)	(238)
სულ კაპიტალი		**(345)**	**(276)**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	(53)	(3)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**(53)**	**(3)**
სულ ვალდებულებები		**(53)**	**(3)**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**(398)**	**(279)**

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „ეგრისის განვითარების კომპანიის“ სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს:

_____

ლევან ახვლედიანი
გენერალური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	34	22
სულ გრძელვადიანი აქტივები		**34**	**22**
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები		39	56
გადახდილი ავანსები	6	21	2
დებიტორული დავალიანება	7	159	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	145	198
სულ მოკლევადიანი აქტივები		**364**	**257**
სულ აქტივები		**398**	**279**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	(11)	(11)
პრივილეგირებული აქციები	8	(27)	(27)
გაუნაწილებელი მოგება		(307)	(238)
სულ კაპიტალი		**(345)**	**(276)**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	9	(53)	(3)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**(53)**	**(3)**
სულ ვალდებულებები		**(53)**	**(3)**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**(398)**	**(279)**

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია სს „ეგრისის განვითარების კომპანიის“ სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს:

ლევან ახვლედიანი
გენერალური დირექტორი

8-26 გვერდებზე დართული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	**2018**
შემოსავლები	10	4,951
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	11	(3,598)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,146)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(115)
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	12	(15)
საოპერაციო მოგება		**77**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		–
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	15	(8)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**69**
მოგების გადასახადის ხარჯი		–
პერიოდის მოგება		**69**
სხვა სრული შემოსავალი		–
პერიოდის სრული მოგება		**69**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(11)**	**(27)**	**(238)**	**(276)**
წლის სრული მოგება, სულ	–	–	(69)	**(69)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(11)**	**(27)**	**(307)**	**(345)**

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		69
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	13	11
ფინანსურ და საინვესტიციო საქმიანობაში საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი)	15	8
საოპერაციო ფულადი ნაკადების გადინება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**88**
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში	7	(158)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	6	(19)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში		17
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	9	50
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**(110)**
გადახდილი პროცენტი		–
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(22)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(23)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(23)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
აქციონერების შენატანები საწესდებო კაპიტალში	8	–
აქციონერების შენატანები პრივილეგირებული აქციებისთვის	8	–
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**–**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	15	(8)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**(53)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5	**198**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	**145**

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1 ეგრისის განვითარების კომპანია და მისი საქმიანობა

სს „ეგრისის განვითარების კომპანია” (შემდგომში „კომპანია“) 2016 წლის 12 ოქტომბერს საქართველოში დააფუძნეს შპს „თიბისი ჰოლდინგმა” და „კონტი გლობალ დეველოპმენტ ბი.ვი“. კომპანია დაფუძნდა, როგორც სააქციო საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საიდენტიფიკაციო ნომერი #402040037). 2016 წლის 11 ოქტომბერს შპს „თიბისი ჰოლდინგმა” და „კონტი დეველოპმენტ ბი.ვი.“-მ გამართეს აქციონერთა კრება და დააფუძნეს სს „ეგრისის განვითარების კონსორციუმი“, თითოეული 50% წილობრივი მონაწილეობით. გამოშვებულ იქნა 100 ცალი ჩვეულებრივი აქცია (თითოეულის ღირებულება 1 აშშ დოლარი) და 10 პრივილეგირებული აქცია (თითოეულის ნომინალური ღირებულება 1000 აშშ დოლარი). თითოეულ აქციონერს გადაეცა ჩვეულებრივი აქციების 50%. პრივილეგირებული აქციების 100% მიიღო „კონტი გლობალ დეველოპმენტ ბი.ვი“-მ.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ანაკლიის პორტის და ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონის პროექტების განხორციელების მიზნით, დაკავშირებული კომპანიების, შპს ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ და სს „ანაკლია სითის“, მენეჯმენტის უზრუნველყოფა. ამისთვის კომპანიას ხელმოწერილი აქვს ორი მენეჯმენტის ხელშეკრულება შესაბამისად შპს „ანაკლიის განვითარების კონსოტრიუცმთან“ და სს „ანაკლია სითისთან“. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი პროექტების წარმატებით განხორციელება და ამისთვის უფლებამოსილია მოავლინოს საკუთარი თანამშრომლები, რომლებიც განახორციელებენ შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ და სს „ანაკლია სითის“ ყოველღიურ მართვას. პროექტის წარმატებით განხორციელება მოიცავს პროექტის განხორცილეებისათვის საჭირო თანხების მოზიდვას, პროექტების შემუშავების უზრუნველყოფას და სხვა ყველა ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას.

შემდგომში, 2017 წლის 2 მარტს, კომპანიამ გამოუშვა დამატებით 3,900 ჩვეულებრივი აქცია, საიდანაც 280 ჩვეულებრივი აქცია მიყიდულ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორობა „ვანდერნეტ ექსპრესს“, 154 ჩვეულებრივი აქცია შეისყიდა შპს „ჯი სტარმა“, ხოლო დანარჩენი აქციები თანაბრად განაწილდა შპს „თიბისი ჰოლდინგსა“ და „კონტი გლობალ დეველოპმენტს ბი.ვი“-ს შორის. აქციების გაყიდვა მოხდა მათი ნომინალური ღირებულებით (1 ცალი 1 აშშ დოლარი).

აქციონერები

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა (%) პერიოდის ბოლოსთვის შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი, 2018 წ.		31 დეკემბერი, 2017 წ.		31 დეკემბერი, 2016 წ.	
მფლობელი	**% წილი**	**აქციების რაოდენობა**	**% წილი**	**აქციების რაოდენობა**	**% წილი**	**აქციების რაოდენობა**
შპს „თიბისი ჰოლდინგი“	44.58%	1,783	44.58%	1,783	50%	50
„კონტი დეველოპმენტ ბი.ვი“	44.58%	1,783	44.58%	1,783	50%	50
შპს „ვანდერნეტ ექსპრესი“	7.00%	280	7.00%	280	–	–
შპს „ჯი სტარი“	3.85%	154	3.85%	154	–	–
სულ	**100.00%**	**4,000**	**100.00%**	**4,000**	**100.00%**	**100**
პრივილეგირებული აქციები						
„კონტი დეველოპმენტ ბი.ვი“	100.00%	10	100.00%	10	100.00%	10
სულ	**100.00%**	**10**	**100.00%**	**10**	**100.00%**	**10**

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი

კომპანიის იურიდიული მისამართია: მარჯანიშვილის ქუჩა #6, 0102 თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილი არის ანაკლია, საქართველო.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1 ეგრისის განვითარების კომპანია და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

წარსადგენი ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

შვილობილი კომპანიები

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მცირე და საშუალო საწარმოების ფასს“) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლად გამოყენებულ იქნა პირვანდელი ღირებულების მეთოდი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „მცირე და საშუალო საწარმოების ფასს“) პირველად გამოყენება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება პირველი ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც კომპანიამ მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის მიხედვით მოამზადა. შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისე, რომ დააკმაყოფილოს თავისი პირველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ანუ 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ი, და შეიცავს შედარებადი პერიოდის მონაცემებს 2017 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით. კომპანიას არ წარმოუდგენია წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგება, ამიტომ ადრე გაცხადებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერება არ მომხდარა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაცაა, ვინაიდან ლარი წარმოადგენს იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც კომპანია საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების აღიარების თარიღისათვის დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმომდგარი ყოველგვარი სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას. თუ არსებობს მინიშნება, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების აქტივის შემდგომი ხარჯების აღიარება ხდება ამ აქტივის საბალანსო ღირებულებით, ან ცალკე აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ აქტივიდან და შესაძლებელი იქნება მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, საჭიროების შემთხვევაში შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წყდება აქტივის აღიარება.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა

ძირითადი საშუალებების აქტივების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
საოფისე აღჭურვილობა, აპარატურა და ინვენტარი	3 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისაა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

საოპერაციო იჯარა

თუ კომპანია გამოდის მეიჯარედ ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა მეიჯარისგან კომპანიაზე, მთლიანი საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იჯარის ვადა ნიშნავს პერიოდს, რომელიც არ შეიძლება შეწყდეს და რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აქტივის იჯარაზე, ნებისმიერი მომდევნო ვადებით, რომლებითაც მოიჯარეს შეუძლია აქტივის იჯარის გაგრძელება შემდგომი ანგარიშსწორებით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისშივე არის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი, რომ მოიჯარე ამ ოფციონს გამოიყენებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

კომპანიის ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან, სავაჭრო დებიტორული ანგარიშებისგან და სხვა აქტივებისგან. სესხები და დებიტორული დავალიანება არის

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სესხების შემთხვევაში აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი, ხოლო მისაღები ანგარიშების შემთხვევაში - როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულება ან სხვა საოპერაციო ხარჯები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების გაუქმება ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითაც ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რამე ობიექტური ნიშნის არსებობას. გაუფასურებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა („ზარალის დადგომის შემთხვევა“) გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ დებიტორი ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები

ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფულადი სახსრების მომავალი შეფასებული ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელიც ჯერ არ არის გაწეული). მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების დისკონტირება ხდება ფინანსური აქტივების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი (ასახული ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში) კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. აქტივები შესაბამის რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერილი აქტივის ამოღება მოხდა მოგვიანებით, იგი ტარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, საოპერაციო ხარჯების კრედიტში.

(iii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებას.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ურთიერთგაქვითვის ასეთი უფლების გამოყენება (ა) არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და (ბ) კანონით ნებადართული უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(v) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; სავაჭრო კრედიტორული დავალიანების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საპენსიო ან მსგავსი გადახდების განხორციელების სამართლებრივი ან არაკონტრაქტული ვალდებულება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს მიმდინარე ანგარიშებზე და ბიზნეს ბარათებზე და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე/აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ნაწილში. 2016 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სხვადასხვა საგადასახადო ანგარიშები ერთმანეთთან გაიქვითება, ერთიანდება ერთ ოდენობად და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი

კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებების აღირიცხება იმ საგადასახადო სტატუსებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ როგორც სტატუტები, რომლებიც დიდი ალბათობით არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ კონკრეტული საგადასახადო სტატუსის მართებულობას. ასეთი შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებას და ნებისმიერ სასამართლოს გადაწყვეტილებას ან სხვა განჩინებას მსგავს საკითხებზე. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აისახება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 18 შენიშვნაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება: (i) აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან (ii) მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებების ანალიზი და დაწვრილებითი ინფორმაცია მათი შეფასების შესახებ მოცემულია 18 შენიშვნაში.

3 გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3 გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა მიმართ დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	შენიშვნა	აქციონერები	აქციონერების მიერ კონტროლირებული საწარმოები	საწარმოები საერთო აქციონერებით	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
დებიტორული დავალიანება	7	–	159	–	–
გადახდილი ავანსები		–	4	–	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	–	–	145	–
კრედიტორული დავალიანება	9	–	(6)	–	–

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	შენიშვნა	აქციონერები	აქციონერების მიერ კონტროლირებული საწარმოები	საწარმოები საერთო აქციონერებით	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან (ა)	10	–	(4,951)	–	–
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები (ბ)		711	–	–	1,186
მივლინების ხარჯები		–	–	–	30
მომსახურებების და საქონლის შესყიდვა		–	74	–	–

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა მიმართ დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	შენიშვნა	აქციონერები	აქციონერების მიერ კონტროლირებული საწარმოები	საწარმოები საერთო აქციონერებით	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
გადახდილი ავანსები		–	6	–	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	–	–	198	–
კრედიტორული დავალიანება		–	(1)	–	–

(ა) 2017 წლის აპრილიდან რამდენიმე ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად კომპანიას ქირაობდნენ კომპანიის აქციონერების კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოები შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ და სს „ანაკლია სითი“. კომპანია ასრულებს პროექტის მენეჯერისა და დეველოპერის ფუნქციებს და ძირითადად აწვდის ისეთ მომსახურებას, რომელიც საჭიროა პროექტის მისაყვანად მშენებლობის დაწყების მზადყოფნის მდგომარეობამდე და მშენებლობის დროულად დასრულებისთვის საჭირო პირობების შექმნისთვის. 2018 წელს კომპანიას ანაზღაურება გადაეხადა ხარჯების ანაზღაურების პრინციპით.

(ბ) 2018 წელს ანაკლიის განვითარების კონსორციუმის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების რაოდენობა იყო ოთხი. ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს. ასევე, პერსონალთან დაკავშირებულ ხარჯებში შედის სამეთვალყურე საბჭორ წევრებისთვის გადახდილი ანაზღაურება.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2018 წლებში მოიცავს საოფისე აღჭურვილობას, აპარატურასა და ინვენტარს.

5 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
მოთხოვნამდე გადასახდელი საბანკო ნაშთები	115	169
ბიზნეს ბარათებზე არსებული საბანკო ნაშთები	30	29
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**145**	**198**

მოთხოვნამდე გადასახდელი საბანკო ნაშთები წარმოადგენს ქართულ ბანკში განთავსებულ უპროცენტო მიმდინარე ანგარიშებს.

6 გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
მომწოდბლებისთვის გადახდილი ავანსები	15	–
თანამშრომლებისთვის გადახდილი ავანსები	6	2
გადახდილი ავანსები, სულ	**21**	**2**

7 დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები	159	1
დებიტორული დავალიანება, სულ	**159**	**1**

8 კაპიტალი

კომპანიის სააქციონერო კაპიტალი შედგება 4,000 ჩვეულებრივი და 10 პრივილეგირებული აქციისგან. თითოეული ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 აშშ დოლარი, ხოლო თითოეული პრივილეგირებული აქციის ნომინალური ღირებულება არის 1,000 აშშ დოლარი. ჩვეულებრივი აქციები მათ მფლობელებს ხმის მიცემის თანაბარ უფლებებს ანიჭებენ, ხოლო პრივილეგირებულ აქციებს არ გააჩნიათ ხმის უფლება, თუმცა გააჩნიათ 2.25% წლიურ ამონაგები და საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში სარგებლობენ უპირატესი უფლებებით. აქციონერთა სტრუქტურისა და მიმოქცევაში მყოფი აქციების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 1 შენიშვნაში.

2016 წლის 11 ოქტომბერს შპს „თიბისი ჰოლდინგმა” და „კონტი დეველოპმენტ ბი.ვი.“-მ აქციონერთა კრების საფუძველზე დააფუძნეს სს „ეგრისის განვითარების კონსორციუმი“, თითოეული 50% წილობრივი მონაწილეობით. გამოშვებულ იქნა 100 ცალი ჩვეულებრივი აქცია (თითოეულის ღირებულება 1 აშშ დოლარი) და 10 პრივილეგირებული აქცია (თითოეულის ნომინალური ღირებულება 1000 აშშ დოლარი). თითოეულ აქციონერს გადაეცა ჩვეულებრივი აქციების 50%. პრივილეგირებული აქციების 100% მიიღო „კონტი გლობალ დეველოპმენტ ბი.ვი“-მ.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8 კაპიტალი (გაგრძელება)

შემდგომში, 2017 წლის 2 მარტს, კომპანიამ გამოუშვა დამატებით 3900 ჩვეულებრივი აქცია, საიდანაც 280 ჩვეულებრივი აქცია მიყიდულ იქნა შპს „ვანდერნეტ ექსპრესს“, 154 ჩვეულებრივი აქცია შეისყიდა შპს „ჯი სტარმა“, ხოლო დანარჩენი აქციები თანაბრად განაწილდა შპს „თიბისი ჰოლდინგსა“ და „კონტი გლობალ დეველოპმენტს ბი.ვი“-ს შორის. აქციების მიყიდვა მოხდა მათი მონიმალური ღირებულებით (1 ცალი 1 აშშ დოლარი). კომპანიას ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე დივიდენდები არ გამოუცხადებია.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ შეუმუშავებია კაპიტალის მართვის საკუთარი პოლიტიკა, რადგან იგი ჯერ კიდევ ახალდაარსებული კომპანიაა.

9 კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი თანხები	6	1
სხვა სავაჭრო დავალიანება	47	2
სულ კრედიტორული დავალიანება, მოკლევადიანი	**53**	**3**

10 შემოსავლები

	2018
განვითარების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	4,951
სულ შემოსავლები	**4,951**

11 პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები

	2018
თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ხარჯები	3,547
თანამშრომლების დაზღვევის ხარჯები	41
სხვა პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	10
სულ პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	**3,598**

12 სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი

	2018
სპონსორობისა და ქველმოქმედების ხარჯები	2
ციფრული მარკეტინგის ხარჯები	1
მარკეტინგთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	12
სულ სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	**15**

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
სამივლინებო ხარჯები	564
ცვეთა და ამორტიზაცია	11
პროფესიული მომსახურების ხარჯები	156
საიჯარო ხარჯი	249
წარმომადგენლობითი ხარჯები	58
საოფისე ხარჯები	22
კომუნიკაციის ხარჯები	38
საწვავის ხარჯები	38
სხვა შეკეთების და შენახვის ხარჯები	10
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**1,146**

14 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018
ტრანსპორტირების და მიტანის ხარჯები	36
სხვა	79
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**115**

15 ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2018
წმინდა საკურსო ზარალი	6
საბანკო მომსახურების საზღაური	2
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	**8**

16 პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყებების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიას აქვს ფინანსური რისკი, რომელიც შედგება საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებისგან.

ამ დროისთვის კომპანია ჯერ კიდევ ახალდაარსებული კომპანიაა. იმ პერიოდის განმავლობაში, რომლისთვისაც მომზადებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, კომპანია ძირითადად დაკავებული იყო შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმისა“ და სს „ანაკლია სითისთვის“ მენეჯმენტის მომსახურების გაწევით. კომპანიას ამ ეტაპისთვის არ შეუმუშავებია საკუთარი რისკის მართვის პოლიტიკა ფინანსური, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მონიტორინგის მიზნით.

საკრედიტო რისკი

კომპანია იღებს საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. ანგარიშგების პერიოდებისთვის, მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ განპირობებულია კომპანიის ბანკებსა და ფინანსურ დაწესებულებებში განთავსებული ფულადი სახსრებითა და მათი ეკვივალენტებით და დებიტორული დავალიანებით. კონტრაჰენტებთან განხორციელებულმა სხვა გარიგებებმა შესაძლებელია ასევე წარმოშვას ფინანსური აქტივები.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, ასევე დებიტორული დავალიანების შედეგად წარმოშობილი კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, როგორც ეს ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ამ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებების ნაწილში, ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
დებიტორული დავალიანება	159	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	145	198
საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, სულ	**304**	**199**

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. დებიტორული დავალიენება წარმოშობილია დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებიდან.

საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია (ა) უცხოურ ვალუტაში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის არსებითი მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

8-26 გვერდებზე დართული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	31 დეკემბერი, 2018 წ.			31 დეკემბერი, 2017 წ.		
	ფულადი ფინანსური აქტივები	არაფულადი ფინანსური ვალდე-ბულებები	ღია საბალანსო პოზიცია, წმინდა	ფულადი ფინანსური აქტივები	არაფულადი ფინანსური ვალდე-ბულებები	ღია საბალანსო პოზიცია, წმინდა
აშშ დოლარი	199	(25)	**174**	27	(1)	**26**
სულ	**199**	**(25)**	**174**	**27**	**(1)**	**26**

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. კომპანიას არ აქვს ისეთი კაპიტალის ინვესტიციები და არაფულადი აქტივები, რომლებიც ქმნიან არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის უცვლელობის შემთხვევაში:

	ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე	
ათას ლარში	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
აშშ დოლარის კურსის გამყარება 10%-ით	17	3
აშშ დოლარის კურსის შესუსტება 10%-ით	(17)	(3)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. კომპანიას არ აქვს ნასესხები სახსრები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება კრედიტორული დავალიანებისგან და კაპიტალისგან.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში ასახული თანხები წარმოადგენს სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, რაც მოიცავს კრედიტორულ დავალიანებას. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები შეიძლება განსხვავდებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს.

როდესაც კრედიტორული დავალიანების ოდენობა ფიქსირებული არ არის, გასამჟღავნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების შესაბამისად. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ასეთია:

	31 დეკემბერი, 2018 წ.			31 დეკემბერი, 2017 წ.		
	მოთხოვნამდე და 1 წლამდე ვადით	1 წელზე მეტი ვადით	სულ	მოთხოვნამდე და 1 წლამდე ვადით	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ვალდებულებები						
კრედიტორული დავალიანება (9 შენიშვნა)	(53)	–	**(53)**	(3)	–	**(3)**
სულ სამომავლო დაფარვები	**(53)**	**–**	**(53)**	**(3)**	**–**	**(3)**

18 სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ლი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე - ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არადაკვირვებადი ამოსავალი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

	31 დეკემბერი, 2018 წ.				31 დეკემბერი, 2017 წ.			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სამარ-თლიანი ღირე-ბულება	დონე 1	დონე 2	დონე 3	სამარ-თლიანი ღირე-ბულება
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	145	–	–	145	198	–	–	198
დებიტორული დავალიანება	–	–	159	159	–	–	1	1
სულ აქტივები	**145**	**–**	**159**	**304**	**198**	**–**	**1**	**199**
ვალდებულებები								
კრედიტორული დავალიანება	–	–	(53)	(53)	–	–	(3)	(3)
სულ ვალდებულებები	**–**	**–**	**(53)**	**(53)**	**–**	**–**	**(3)**	**(3)**

(რიცხვები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

აქციონერთა სტრუქტურაში ცვლილებები

2019 წლის 24 იანვარს, შპს „თიბისი ჰოლდინგმა“ შეიძინა „კონტი გლობალ დეველოპმენტ ბი.ვი“-ს მფლობელობაში არსებული 1,434 ჩვეულებრივი და 10 პრივილეგირებული აქცია. შესყიდვის ჯამურმა ფასმა შეადგინა 10,011.58 აშშ დოლარი.